DW Akademie

Made for minds.

DISCUSSION PAPER

საქართველო

მედიის თავისუფლება იკლებს

ავტორები: ელენა ზონდლერი, ეკატერინე ბასილაია, ალექსანდერ მათშკე, ეველინ მეიერი

პოლარიზაცია, თვალთვალი და ფიზიკური თავდასხმები ხელისუფლების მხრიდან: „დოიჩე ველლეს“ კვლევის შედეგები საქართველოს მედიასექტორის ბოლოდროინდელ გაუარესებას ადასტურებს.

Supported by the

Federal Ministry
for Economic Cooperation
and Development

ანაბეჭდი

გამომცემელი
Deutsche Welle
53110 Bonn
Germany

გამოცემულია
2023 წლის მარტში

© DW Akademie

ავტორები
ელენა ზონდლერი
ეკატერინე ბასილაია
ალექსანდერ მათშკე
ეველინ მეიერი

რედაქტორები
ანა ჭაბაშვილი

მთარგმნელი
ნანა ქუჩულორია

პასუხისმგებელი პირები
კარსთენ ფონ ნამენი
იან ლუბლინსკი

ტექნიკური დიზაინერი
ელენა სტამნიცი

ფოტო ყდაზე
© Quartli.ge

ჟურნალისტი და Quartli.ge-ს დამფუძნებელი საბა წიწიკაშვილი ინტერვიუს იღებს სოფლის მცხოვრებისგან.

რეფორმის ლიდერიდან მაჩანჩალობამდე

რკინის ფარდის ჩამოშლის შემდეგ საქართველო ერთ-ერთი პირველი საბჭოთა რესპუბლიკა იყო, რომელიც საბჭოთა კავშირს გამოეყო. რეფერენდუმის კვალდაკვალ ქვეყანამ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, 2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“ კი გზა გაუხსნა დემოკრატიულ რეფორმებს საქართველოში.

საქართველო მრავალი წლის განმავლობაში იმსახურებდა ქებას მისი რეფორმატორული მიღწევების გამო. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანამ განამტკიცა დემოკრატიული ინსტიტუტები, შეამცირა კორუფცია და გააუმჯობესა საარჩევნო პროცესები (ევროსაბჭო, 2015; NDI).

„საქართველოს გამოცდილება ნათელყოფს, რომ შესაძლებელია ენდემური კორუფციის მოჯადოებული წრის გარღვევა და, სათანადო და გადამწყვეტი რეფორმებით მისი ვირტუოზულ ციკლად გარდაქმნა,“ აღნიშნულია მსოფლიო ბანკის 2012 წლის ანგარიშში (მსოფლიო ბანკი, 2012).

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში საქართველო აღწერილი იყო როგორც მოწინავე ქვეყანა ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით 2016 წელს (Commonspace.eu, 2016).

თუმცა ბოლო წლებში დემოკრატიზაციის მიღწევები შეჩერებულია. ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართულმა სიძულვილის ენამ და ფიზიკური თავდასხმების შემთხვევებმა, ინფორმაციის კონტროლის სამთავრობო პოლიტიკისა და ონლაინდეზინფორმაციის ტალღების პარალელურად, მედიის თავისუფლებას ზიანი მიაყენა.

2021-დან 2022 წლამდე საქართველოში მკვეთრად დაეცა ქვეყნის მედიის თავისუფლების ინდექსი ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე (RSF)“ შეფასებაში. პრესის თავისუფლების ინდექსმა 29 პუნქტით დაიკლო და მე-60-დან 89-ე ადგილზე გადაინაცვლა 180 რანჟირებული ქვეყნიდან და ტერიტორიიდან (RSF, 2022).

ანალოგიურად, გამოხატვის თავისუფლების ადვოკატირების გლობალურმა ჯგუფმა „მე-19 მუხლი“ ბოლო წლებში საქართველოს მედიაგარემოში დააფიქსირა დაღმავალი ძვრები, რითაც ქვეყანა 2020 წელს კატეგორია „ღიადან“ „ნაკლებად შეზღუდულამდე“ ჩამოქვეითდა (Article 19, 2021).

2022 წლის რეზოლუციაში ევროპის პარლამენტმა შეშფოთება გამოხატა საქართველოში მედიასიტუაციის მნიშვნელოვანი გაუარესებისა და ჟურნალისტთა უსაფრთხოების თაობაზე ბოლო წლების განმავლობაში (ევროპის პარლამენტი, 2022).

მედიის განვითარების ორგანიზაცია IREX-მა დაგმო „ცენტრალური ხელისუფლების ომი კრიტიკულ მედიასთან“ საქართველოში. IREX-ის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, COVID-19-ის პანდემიამ ხელი შეუწყო საქართველოში მედიის მუშაკების წინაშე არსებულ სირთულეებს და „განაგრძო ქვეყნის საინფორმაციო გარემოს გაუარესება, რომელიც გადატვირთული იყო COVID-თან დაკავშირებული დეზინფორმაციითა და პროპაგანდით“[1] (IREX, 2022).

იმავე წელს ადამიანის უფლებათა ორგანიზაცია „ამნესთი ინთერნეიშენალმა“ ტელევიზიის ჟურნალისტის ნიკა გვარამიასთვის ბრალის წაყენებასა და დაპატიმრებას „პოლიტიკურად მოტივირებული“ უწოდა. ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ და „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტმა“ (CPJ) ეს შემთხვევა მსოფლიო მასშტაბით დაპატიმრებული ჟურნალისტების სიაში შეიტანეს (Amnesty International, 2022; CPJ, 2022, May 16; RSF, 2022, May 24).

2022 წლის BTI ტრანსფორმაციის ინდექსის მიხედვით საზოგადოებრივი მაუწყებლობის იდეა, რომელიც ემსახურება მოქალაქეთა საჯარო ინტერესებს, საქართველოში „დაიკარგა“, ჟურნალისტები განიცდიან „დაშინებას, შევიწროებას და სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევას“ (BTI, 2022).

ანალოგიურად, აშშ-ში დაფუძნებულმა პროდემოკრატიულმა ჯგუფმა Freedom House დააფიქსირა საქართველოში დემოკრატიის ქულის ვარდნა, რაც ასახავს ქვეყნის, როგორც „გარდამავალ ფაზაში მყოფი ერის“ ტრაექტორიას. ერთ-ერთი ფაქტორი იყო „დასაშვები გარემო ძალადობრივი ულტრამემარჯვენე ჯგუფებისთვის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან 2021 წლის ივლისის ფატალურ თავდასხმაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „თბილისი პრაიდზე“ და მედიამუშაკებზე“ (Freedom House, 2022.1).

ორგანიზაციის თქმით, პროსამთავრობო აქტორები „ცდილობდნენ ონლაინკონტენტით მანიპულირებას საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის მიზნით.“ ასევე, ადგილი ჰქონდა ხელისუფლების მიერ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებზე თვალთვალის გახმაურებულ შემთხვევებს. მიუხედავად

[1] წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი ავტორი, ეკატერინე ბასილაია, IREX-ის 2022 წლის ,,ძლიერი საინფორმაციო ბარომეტრი-საქართველოს“ კვლევითი ჯგუფის წევრია.

ამისა, თავის უახლეს ანგარიშში „თავისუფლება ქსელში“ „ფრიდომ ჰაუზმა“ საქართველოს ონლაინგარემოს მიანიჭა კატეგორია „თავისუფალი“, რადგან მოქალაქეებს ვებგვერდებზე წვდომის შეზღუდვა არ ემუქრებათ და ინტერნეტის გამოყენების დონე კვლავინდებურად მზარდია (Freedom House, 2022.2).

გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1995). „კავკასიის ბარომეტრის“ ბოლო მონაცემების მიხედვით სოციალურ-ეკონომიკური საკითხებისა და პოლიტიკური განწყობების შესახებ ყოველწლიური საოჯახო გამოკითხვის ფარგლებში, გამოკითხულთა 71 % -მა განაცხადა, რომ საქართველოში ადამიანებს უფლება აქვთ, ღიად გამოთქვან თავიანთი აზრი (კავკასიის კვლევითი ცენტრი, 2021). აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ საქართველოს განაცხადთან დაკავშირებით, ევროკომისიამ მოუწოდა ქვეყანას, „გადადგას უფრო ქმედითი ნაბიჯები თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად; განსაკუთრებით იმის უზრუნველსაყოფად, რომ მედიის მფლობელების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების განხილვა განხორციელდეს უმაღლესი სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად, ასევე მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიების დაწყებით ჟურნალისტებისა და მედიის სხვა პროფესიონალების წინააღმდეგ მიმართული მუქარის შემთხვევებში“ (ევროპის კომისია, 2022).

მიუხედავად იმისა, რომ დამკვირვებლები საქართველოს მედიალანდშაფტს (გარემოს) აფასებენ როგორც პლურალისტურს, ის, ასევე, მიიჩნევა უაღრესად პოლარიზებულად, სადაც მაუწყებლები პოლიტიკური ნიშნით არიან დაყოფილი.

საქართველოში პოლიტიკურ სიახლეებსა თუ მიმდინარე საკითხებზე ყველაზე ხშირად გამოყენებულ ინფორმაციის წყაროდ ტელევიზია რჩება. მოსახლეობის უმეტესობა (87.9 %) ტელევიზორს იყენებს ინფორმაციის წყაროდ, შემდეგ მოდის ოჯახის წევრები (84.7 %), მეზობლები და მეგობრები (83.8 %), სოციალური მედია (69 %), ახალი ამბების ვებგვერდები (36.2 %), გაზეთები და ჟურნალები 14 %) და რადიო (13 %) (Internews, 2021). 2021 წელს მოსახლეობის 76 % იყენებდა ინტერნეტს (ITU, 2021).

წინამდებარე ანგარიშის შესახებ

DW Akademie კვლევა ასახავს არსებულ სიტუაციას საქართველოში გამოხატვის თავისუფლებასა და მედიათავისუფლებასთან დაკავშირებით, სადაც ქართველი მედიაპროფესიონალების შეშფოთება გაზიარებულია ფართო საზოგადოებასთან. კვლევა განხორციელდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

DW Akademie მიზანია, რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით, წვლილი შეიტანოს ქართულ მედიაგარემოს შესახებ არსებულ კვლევებში. წინამდებარე კვლევის ფარგლებში აკადემიამ ჩაატარა ჟურნალისტების გამოკითხვა მედიის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ჟურნალისტებისა და მედიაორგანიზაციების უსაფრთხოებაზე.

2022 წლის მეორე ნახევარში მკვლევართა ჯგუფმა შეაგროვა 15 ქართველი მედიაპროფესიონალის ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მიღებული თვისობრივი მონაცემები ანონიმურობის სრული დაცვით.

ონლაინგამოკითხვამ დამატებითი მონაცემები უზრუნველყო. 61 კითხვისაგან შემდგარი ნახევრად სტანდარტიზებული ქართულენოვანი კითხვარი გაეგზავნა ცხრა მედიაასოციაციასა და ორგანიზაციას, რომლებიც წარმოადგენენ რამდენიმე ასეულ მედიაინსტიტუციას და ინდივიდუალურ წევრს. აგრეთვე, კითხვარი გაეგზავნა 59 მედიასაშუალებას, მათ შორის ტელევიზიას, რადიოს, ონლაინ- და ბეჭდურ გამოცემებს. კვლევაში მონაწილეობდა 64 თვითშერჩეული ანონიმური რესპონდენტი. გამოკითხვამ დაუშვა კითხვების გამოტოვების შესაძლებლობა; იგი მოიცავდა ღია კითხვებს, სადაც რესპონდენტებს შეეძლოთ ინდივიდუალური პასუხების გაცემა. ორმოცმა რესპონდენტმა უპასუხა ყველა შეკითხვას. ონლაინგამოკითხვის შედეგები არაწარმომადგენლობითია.[2]

[2] ნიმუშის დეტალური აღწერისთვის იხილეთ განყოფილება „კვლევის პროფილი“.

სხვადასხვა რეალობა: უკიდურესად პოლარიზებული მედიალანდშაფტი [გარემო]

“ მედია, როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონული, აბსოლუტურად პოლარიზებულია. იგი მთლიანად ფოკუსირებულია პარტიულ-პოლიტიკურ დღის წესრიგზე.

რეგიონული მედიაგამოცემის დამფუძნებელი და რედაქტორი

„განსხვავდება რეალობის აღქმა, იქიდან გამომდინარე, თუ რომელ პრიზმაში უყურებს ადამიანი მოვლენებს [...]. ერთსა და იმავე მოვლენაზე ჩვენ სისტემატურად გვესმის აბსოლუტურად განსხვავებული ინტერპრეტაციები,“ თქვა ტელეჟურნალისტმა სამხრეთ საქართველოდან.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული მედიაპროფესიონალების მიერ გადმოცემული ამგვარი ფაქტები ადასტურებს საქართველოს მედიაგარემოში არსებულ უკიდურეს პოლარიზაციას.

ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა: „მედიის პოლარიზება საზოგადოების პოლარიზების შედეგია და პირიქით. ყველაფერი კი პოლიტიკური ჯგუფების დაპირისპირებით დაიწყო და ცალკეულ მედიასაშუალებებში სახელისუფლებო და პროოპოზიციური ძალების გადაჯგუფებით დასრულდა.“

კვლევის მონაწილეებმა, ასევე, ხაზი გაუსვეს მყარი ფინანსური ბაზის არარსებობას ქართულ მედიასექტორში. მათ აღნიშნეს, რომ ეს ხელს უწყობს „მედიის ხელში ჩაგდებას“ - მედიის კავშირს კერძო ან პოლიტიკურ აქტორებთან, რაც ზიანს აყენებს მიუკერძოებელ ჟურნალისტიკას. „მედიაგარემოს აფუჭებს ის ფაქტიც, რომ ყველა პოლიტიკურ ჯგუფს საკუთარი მედია აქვს“, აღნიშნა ერთ-ერთმა გამოკითხულმა, პოლიტიკური ტოქშოუების პროდიუსერმა.

„განსხვავდება რეალობის აღქმა, იქიდან გამომდინარე, თუ რომელ პრიზმაში უყურებს ადამიანი მოვლენებს [...]. ერთსა და იმავე მოვლენაზე ჩვენ სისტემატურად გვესმის აბსოლუტურად განსხვავებული ინტერპრეტაციები,“ თქვა ტელეჟურნალისტმა სამხრეთ საქართველოდან.

კვლევის რესპონდენტებს, ისევე, როგორც გამოკითხულ ექსპერტებს, მიაჩნიათ, რომ პროფესიონალიზმის ნაკლებობა ჟურნალისტებს შორის დიდწილად უწყობს ხელს პოლარიზაციას საზოგადოებრივ სივრცეში.

„ძალიან სამწუხაროდ, მედიის სტანდარტიც საკმაოდ ხშირადაა დაწეული და ის არ უპასუხებს თანამედროვე ეთიკური მიუკერძოებელი ჟურნალისტური პროდუქტის სტანდარტებს,“ თქვა ტელეჟურნალისტმა სამხრეთ საქართველოდან.

„რეალობა ასეთია, რომ ჩვენი საინფორმაციო გამოშვებებისა და პოლიტიკური ტოქშოუების უდიდესი ნაწილი მიკერძოებულია,“ დაასკვნა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა.

კ ვ ლ ე ვ ი ს დ ი ა გ რ ა მ ე ბ ი

პოლარიზაცია

ონლაინგამოკითხვის დროს, მონაწილეთა მეხუთედზე ნაკლებმა (18 %, 50-დან 9) განაცხადა, რომ ქართული მედია მიუკერძოებლად აშუქებს მიმდინარე მოვლენებს.

გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა (46 %, 50-დან 23) განაცხადა, რომ ქართული მედია პოლიტიკურ საკითხებს ორმხრივად არ აშუქებს. სხვადასხვაგვარი მოსაზრება გამოთქვეს რესპონდენტებმა სქესის, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით: ქალების 76 % (25-დან 19), კაცების 50 % (12-დან 6), თბილისში მცხოვრები რესპონდენტების 77.8 % (18-დან 14) და ქვეყნის სხვა ნაწილებში მცხოვრები რესპონდენტების 57.1 % (21-დან 12) თანხმდება, რომ ქართულ მედიაში პოლიტიკური საკითხები ორმხრივად არ შუქდება.

გამოკითხვის თითქმის ყველა მონაწილემ (97.9 %, 48-დან 47) დააფიქსირა, რომ ქართული მედიაგარემო პოლარიზებულია: გამოკითხულთა 60 %-მა (45-დან 27) განაცხადა, რომ საქართველოში პოლარიზაცია გაიზარდა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ 2022 წლის თებერვალში.

უფრო ფართოდ კი, ონლაინგამოკითხვის მონაცემების მიხედვით, რესპონდენტთა 75.8 % (62-დან 47) მიიჩნევს, რომ გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის თავისუფლების დაცვა მნიშვნელოვანია, მაშინ, როცა გამოკითხულთა დაახლოებით მხოლოდ ნახევარი (61-დან 28) ფიქრობს, რომ საქართველოში ხალხს შეუძლია, თავისუფლად გამოხატოს აზრი ურთიერთსაწინააღმდეგო საკითხებზე. ონლაინმედიის თანამშრომლები ნაკლებად კრიტიკულები არიან (45.7 %, 35-დან 19), ვიდრე სამაუწყებლო და ბეჭდური მედიის წარმომადგენლები (68 %, 25-დან 8).



დიაგრამა 1-ის *წყარო: ანონიმური ონლაინგამოკითხვის შედეგები ქართული მედიის მუშაკებს შორის 64 რესპონდენტთან, რომელიც ჩატარდა 2022 წლის ოქტომბერში. დამრგვალებიდან გამომდინარე, ჯამმა, შესაძლოა, ვერ შეადგინოს 100 პროცენტი.*

მტრული ხელისუფლება და სახელმწიფო თვალთვალი

როგორც ექსპერტთა ინტერვიუების, ასევე ონლაინგამოკითხვის კვლევის შედეგებმა ნათელყო მედიის თავისუფლების დაღმასვლა (უკუსვლა) საქართველოში. ამ კვლევისთვის გამოკითხულმა ერთმა ექსპერტმა - თბილისის ეროვნული ტელეარხის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა - დაგმო მთავრობის პოლიტიკა კრიტიკული გამონათქვამების მიმართ: „ამგვარი რთული სიტუაცია მედიაგარემოს თვალსაზრისით, ალბათ, არასოდეს ყოფილა საქართველოში [...]. ჟურნალისტები და თავისუფალი მედია არიან ხელისუფლების მხრიდან ფორსირებული შეტევის მსხვერპლი რამდენიმე მიმართულებით.“

„ჯერ კიდევ არსებობს კრიტიკული მედიასაშუალებები, [...] მაგრამ ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს, რომ გაგვაჩუმოს“, აღნიშნა ტელეწამყვანმა თბილისიდან. ინტერვიუს დროს მან ილაპარაკა იმ წნეხზე, რომელსაც მისი მედიასაშუალება განიცდის 2012 წლიდან, არჩევნებში ამჟამინდელი უმრავლესობის პარტიის, „ქართული ოცნებისა“ და კოალიციის გამარჯვების შემდეგ.

„2012 წლიდან ხელისუფლების სხვადასხვა ტიპის შეტევის ობიექტი გავხდით. იყო ფინანსური რეპრესიები და შანტაჟი ჩვენი გენერალური დირექტორის წინააღმდეგ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოყენების მუქარით. ასევე, იყო მოსყიდვის მცდელობებიც, რომ გავჩუმებულიყავით, არ ვყოფილიყავით კრიტიკულები და თავისუფლები და არ გამოგვეხატა ის, რაც ყველაზე მეტად აწუხებს და სჭირდება საზოგადოებას.“

სხვა გამოკითხულის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მედიის თავისუფლებაზე თავდასხმა, შესაძლოა, ღიად არ ხდებოდეს, „ხელისუფლება ყოველ მხრივ ცდილობს დამოუკიდებელი მედიასაშუალებებისთვის არაკომფორტული გარემოს შექმნას, შევიწროებას, დევნას და ა.შ..“

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ყველა ჟურნალისტმა ახსენა 2022 წლის სასამართლო პროცესი და განაჩენი, რომელიც მთავარი არხის დირექტორისა და წამყვანის, ნიკა გვარამიას დაპატიმრებით დასრულდა. 2022 წლის 16 მაისს გვარამიას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით სამ-ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. სასამართლო პროცესის დამკვირვებლებმა დაასკვნეს, რომ არ არსებობდა ბრალდების სამართლებრივი საფუძველი და მას, მაქსიმუმ, შეიძლებოდა მოჰყოლოდა კორპორაციული პასუხისმგებლობა (CPJ, 2022, 20 მაისი). „ამნესტი ინთერნეიშენალმა“ გვარამიას დაკავება პოლიტიკურად მოტივირებულად შეაფასა (Amnesty International, 2022).

ტელევიზიის დირექტორმა (თბილისი) აღნიშნა: „ვამბობდით, რომ ისინი [ხელისუფლება] არ გვიჭერენ. გვიჭერენ! პოლიტიკურ საკითხებზე გამოხატვა უკვე შეიძლება პატიმრობის ფასად დაგიჯდეს; ხდები უსაფრთხოების სამსახურის, პროკურატურის სამიზნე. იმდენი დისკომფორტი გაქვს ცხოვრებაში, რომ ბევრი უკვე ფიქრობს, უღირს თუ არა ამის კეთება.“

კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებში ჟურნალისტები ასევე შეეხნენ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან ბოლო დროს გამოჟონილ ინფორმაციას საჯარო პირებზე, მათ შორის, ჟურნალისტებზე, აქტივისტებზე, სამღვდელოების წარმომადგენლებზე, პოლიტიკოსებზე და დიპლომატებზე დაწესებული საყოველთაო თვალთვალის შესახებ.

„სუს-იდან გამოჟონილი ფაილების მიხედვით 50-მდე ჟურნალისტია დაზარალებულად ცნობილი. მათ შორის, მეც. არა მხოლოდ სატელეფონო მოსმენებს ახორციელებენ ჟურნალისტების მიმართ, არამედ თვალთვალსაც,“ აღნიშნა რეგიონული მედიაგამოცემის დამფუძნებელმა და რედაქტორმა.

სხვა გამოკითხულმა ექსპერტმა, ონლაინრედაქტორმა, შენიშნა: „ჟურნალისტებმა იციან, რომ მათ უთვალთვალებენ და უსმენენ.“

2021 წელს ოპოზიციურ ტელეკომპანია „მთავარ არხს“ და სხვა მედიაორგანიზაციებს 2020 წლით დათარიღებული დოკუმენტები ჩაუვარდათ ხელში, სადაც რამდენიმე

პირმა დაადასტურა მათი მიყურადებული საუბრების ავთენტურობა. სახალხო დამცველის, ნინო ლომჯარიას თქმით, თვალთვალის ობიექტი რამდენიმე ასეული ადამიანი იყო, მათ შორის: ჟურნალისტები, აქტივისტები, პოლიტიკოსები და სასულიერო პირები. საქართველოს მთავრობა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უარყოფენ რაიმე სახის დარღვევას. თუმცა, 2022 წლის სექტემბერში პროკურატურამ გამოძიება დაიწყო (Freedom House, 2022.3).

გამოკითხული ჟურნალისტების თქმით, მედიაგამოცემებსა და ცალკეულ ჟურნალისტებს არ გააჩნიათ ციფრული უსაფრთხოების რესურსები, უნარები და გამოცდილება. „ჩვენ არ ვიცით, როგორ შევინახოთ ინფორმაცია უსაფრთხოდ; არ ვიცით, რამდენად დაცულია ჩვენი კომპიუტერული სისტემა. ამ თვალსაზრისით, პრაქტიკულად დაუცველები ვართ," აღნიშნა რეგიონული ონლაინგამოცემის რედაქტორმა.

კვლევის დიაგრამები

თვალთვალი, მუქარა და თავდასხმები მედიაპროფესიონალებზე

გამოკითხვაში მონაწილე თითქმის ყველა რესპონდენტი (97.7 %, 44-დან 43) მედიაპროფესიონალებზე თვალთვალს, მუქარას და შეტევებს საქართველოს უმთავრეს პრობლემად მიიჩნევს. რესპონდენტთა მესამედზე მეტმა (34.8 %, 43-დან 15) აღნიშნა, რომ ბოლო სამი თვის განმავლობაში მათ არაფერი გაუშუქებიათ, რადგან უარყოფითი შედეგების ეშინოდათ.

შეკითხვაზე საქართველოში ჟურნალისტების უსაფრთხოების ყველაზე დიდი პრობლემის შესახებ, გამოკითხულთა 87.5 %-მა (14-დან 16)უპასუხა, რომ ეს ციფრული უსაფრთხოებაა. გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი (35 %, 40-დან 14) თავს კარგად შეიარაღებულად გრძნობს ამ სფეროში. პროვინციებში ყველა მონაწილე (7-დან 7) თავს გრძნობს ცუდად აღჭურვილად ციფრული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ხოლო ქალაქად მონაწილეთა დაახლოებით ნახევარი (56.7 %, 30-დან 17) გრძნობს თავს ცუდად აღჭურვილად.

რაც შეეხება მედიაგამოცემებზე ციფრულ ან ფიზიკურ თავდასხმებს, რესპონდენტთა 94.7 %-მა (38-დან 36) აღნიშნა, რომ მათ ერთხელ მაინც აქვთ გამოცდილი ამგვარი თავდასხმები გასული ხუთი წლის განმავლობაში, ხოლო ყოველი ათიდან ერთი ამბობს, რომ მათ ხშირად ჰქონიათ ამგვარი პრაქტიკა.

მხოლოდ 5.3 %-მა (38-დან 2) აღნიშნა, რომ არაფერი იცის მის დამსაქმებელზე განხორციელებული თავდასხმის შესახებ.

გამოკითხვის რესპონდენტთა 39 %-ის (41-დან 16) მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი მედიაორგანიზაცია საკმაოდ კარგად უზრუნველყოფდა ციფრულ უსაფრთხოებას.

ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა კრიტიკული მედიისთვის

თვისობრივი ინტერვიუებში ექსპერტებმა აღნიშნეს ხელისუფლებასთან კომუნიკაციის სირთულე, ხაზი გაუსვეს სერიოზულ შეფერხებებს და პასუხგაუცემელ მოთხოვნებს. ონლაინმედიის რედაქტორის თქმით, „ფაქტობრივად, არა ხელისუფლების კონტროლირებადი მედიისთვის შეუძლებელია რაიმე სახის ღირებული ინფორმაციის მიღება სახელმწიფო უწყებებისგან." სამხრეთ საქართველოს საზოგადოებრივი რადიოს ჟურნალისტმა განაცხადა: „5 თვეა, ერთ-ერთი სამინისტროდან ველოდებით პასუხს, ჯერაც არ მიგვიღია და, ალბათ, არც მივიღებთ."

> **„უკიდურესად არის გართულებული წვდომა საჯარო ინფორმაციაზე. უმეტეს შემთხვევაში ისეთ ინფორმაციასაც კი, რომელიც პროაქტიულად უნდა ქვეყნდებოდეს, ვერ ვიღებთ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზეც კი.**
>
> **რეგიონული მედიაგამოცემის დამფუძნებელი და რედაქტორი**

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსი აღნიშნავს, რომ საქართველოს მმართველი პარტია, „ქართული ოცნება" „ჩვენთან არ თანამშრომლობს და, ფაქტობრივად, ჩვენ ვართ იგნორირებული რამდენიმე წელია. ჩვენი სრული უგულებელყოფის ფაქტი ნიშნავს იმას, რომ ვაშუქებთ ცალმხრივ ინფორმაციას და ვკარგავთ მაყურებელთა გარკვეულ რაოდენობას, რაც, საბოლოო ჯამში, ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება."

მან ასევე აღნიშნა, რომ ჩვეულებრივი პრაქტიკაა მხოლოდ შერჩეული ჟურნალისტების მოწვევა სამთავრობო ბრიფინგებზე და ღირებულ სიახლეებზე. „იმართება ღონისძიებები, იხსნება ახალი ატრაქციონები და სკვერები, ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ესწრება ხელისუფლება, მაგრამ ამას ჩვენ მხოლოდ მოგვიანებით ვიგებთ. ხელისუფლების მხრიდან არანაირი პრესრელიზი ან განცხადება არ გავრცელებულა. ინფორმაცია მხოლოდ პროსახელისუფლებო მედიიდან მოდის და ჩვენ ამის შესახებ ვიგებთ, როცა უკვე ყველაფერი დასრულებულია.“

კვლევის დიაგრამები

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

კვლევის ფარგლებში თითქმის ყველა რესპონდენტი თანხმდება, რომ მედიაპროფესიონალები აწყდებიან დაბრკოლებებს საჯარო ინტერესის ინფორმაციის მოძიების დროს პოლიტიკური აქტორებისგან (95.5 %, 44-დან 42) ან სასამართლოდან (88.4 %, 43-დან 38). შესაბამისად, თითქმის ყველა რესპონდენტს (95.3 %, 43-დან 41) მიაჩნია, რომ აუცილებელია მედიაპროფესიონალების მიერ ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესება.



დიაგრამა 2-ის *წყარო: ანონიმური ონლაინგამოკითხვის შედეგები ქართული მედიის მუშაკებს შორის 64 რესპონდენტთან, რომელიც ჩატარდა 2022 წლის ოქტომბერში. დამრგვალებიდან გამომდინარე, ჯამმა, შესაძლოა, ვერ შეადგინოს 100 პროცენტი.*

საფრთხე: ჟურნალისტები თითქმის მუდამ თავდასხმის რისკის ქვეშ არიან

ჟურნალისტების უსაფრთხოების შესახებ შეკითხვის პასუხად ყველა გამოკითხული ჟურნალისტი შეეხო 2021 წლის 5 ივლისის მოვლენებს, როდესაც ულტრამემარჯვენე ანტილგბტქ+ დემონსტრანტები 50-ზე მეტ ჟურნალისტს დაესხნენ თავს თბილისის ცენტრში. მინიმუმ, ხუთი ჟურნალისტი სერიოზული დაზიანებებით საავადმყოფოში აღმოჩნდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ალექსანდრე ლაშქარავა, პროოპოზიციური ტელევიზიის, ტვ პირველის, ოპერატორი, რომელსაც შემდეგ გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. თავდასხმიდან 6 დღის შემდეგ, ის საკუთარ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს. 2021 წლის 30 დეკემბრით დათარიღებულ აუტოფსიის დასკვნაში გარდაცვალების გამომწვევ მიზეზად ნარკოტიკით ზედოზირება დასახელდა. დასკვნასთან დაკავშირებით დამკვირვებლებს კითხვები აქვთ (Civil, 2022; Global Voices, 2022).

თავდასხმის საპასუხოდ პოლიციამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევით 100 ადამიანი დააკავა, ხოლო სისხლის სამართლის ბრალდებით ორი (Civil, 2021). 2022 წლის აპრილში საქართველოს ხელისუფლებამ 26 ადამიანი გაასამართლა ჟურნალისტებზე თავდასხმისთვის 2021 წლის ივლისის მოვლენების დროს. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მიესალმნენ სასამართლოს გადაწყვეტილებებს, კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მხარდამჭერთა საკითხი, რომელთაც წააქეზეს ძალადობა, საკმარისად არ იქნა გამოძიებული (CPJ 2022, 7 აპრილი).

ბევრმა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევის შემდეგ ისინი თავს აღარ გრძნობენ უსაფრთხოდ, ხოლო ერთ-ერთი ჟურნალისტი მას „სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილ ყველაზე სიძულვილით სავსე დანაშაულს“ უწოდებს.

„5 ივლისის მოვლენების შემდგომ […], კვირა არ გავა, რომ რომელიმე ტელეკომპანიისა თუ რედაქციის ჟურნალისტი არ გახდეს ფიზიკური თავდასხმის და სიტყვიერი შეურაცხყოფის, ან მუქარისა და შანტაჟის მსხვერპლი,“ აღნიშნა ონლაინგამოცემის რედაქტორმა.

რეპორტიორები და გამომძიებელი ჟურნალისტები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან. „როდესაც რეპორტიორი მყავს გაშვებული გადასაღებ მოედანზე და ვხედავ, რომ მირეკავს, სულ იმის განცდა და შიში მაქვს, რომ რამე მოუვიდა ჩემს რეპორტიორს. მე ასეთი განცდა ბოლო 15 წელია არასდროს არ მქონია,“ თქვა სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა.

გამოკითხულმა ჟურნალისტებმა განაცხადეს, რომ ფიზიკურ მუქარასთან ერთად გახშირდა ჟურნალისტების მიმართ აგრესია და სიძულვილის ენა. „ის, რომ უწყინარ თემაზე მუშაობ და ვიღაცა გლანძღავს, ეს უკვე ნორმად იქცა," განმარტა ერთმა გამოკითხულმა.

„ყველა გადაცემის შემდეგ სიძულვილის ენის სამიზნე ვარ," განაცხადა ეროვნული სატელევიზიო არხის (თბილისი) საინფორმაციო სამსახურის უფროსმა.

ის ვერ ხედავს გენდერულ განსხვავებას: „სქესს არ აქვს მნიშვნელობა. არსებობს პროფესიის მიხედვით დისკრიმინაცია." თუმცა მეორე გამოკითხულმა მამაკაცმა - რეგიონული ონლაინ საინფორმაციო მედიის რედაქტორმა, აღნიშნა, რომ ქალები უფრო ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი. „ქალები უფრო ხშირად ხდებიან სამიზნეები. სქესის მიხედვით დამცირება, ჩვეულებრივ, ხდება ქალებთან მიმართებაში."

ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ლგბტქ+ ჟურნალისტები თავდასხმებისა და ძალადობის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან. „ყველაზე მეტად რისკის ქვეშ არიან ლგბტქ+ თემს მიკუთვნებული ჟურნალისტები; გასული წლების პრაქტიკა აჩვენებს, რომ მათ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ სპეცსამსახურები [სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის]."

გამოკითხული ჟურნალისტების უმეტესობას მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ თავისი წვლილი შეიტანა ამ მტრული გარემოს ჩამოყალიბებაში.

“ ხელისუფლების მხრიდან რეგულარულმა სიძულვილის შემცველმა განცხადებებმა ხელი შეუწყო აგრესიასა და ძალადობას ჟურნალისტების მიმართ.

ონლაინგამოცემის დამფუძნებელი და რედაქტორი

„ჟურნალისტები ძალიან დაუცველად გრძნობენ თავს საქართველოში, რადგან, პირველ რიგში, მათ არ იცავს სახელმწიფო. ჟურნალისტების დაშინების დაკვეთა პირდაპირ სახელმწიფოსგან მოდის," ამბობს ტელეწამყვანი თბილისიდან.

რამდენიმე გამოკითხულმა ჟურნალისტმა ხაზი გაუსვა ხელისუფლების მიერ ჟურნალისტების დაცვისგან, ისევე როგორც იმ დამნაშავეების დევნისგან თავის არიდებას, რომლებიც თავს დაესხნენ ჟურნალისტებს: „შეიძლება ორგანიზებული დანაშაულის მსხვერპლი გავხდეთ და პოლიცია არც კი დაგვიცავს და შემდეგში ამას არავინ გამოიძიებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი განცდა გაგვიჩნდა," აღნიშნა ერთ-ერთმა გამოკითხულმა. სხვა განცხადებაში სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ „დაუსჯელობის პრაქტიკამ წაახალისა ძალადობა."

ერთ-ერთმა რესპონდენტმა გააკრიტიკა, თუ როგორ მოაგვარეს სამართალდამცავმა ორგანოებმა მის მიმართ მუქარის შემთხვევა: „საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი ფიზიკური ანგარიშსწორებით გვემუქრებოდა მე და ჩემი ოჯახის წევრებს.[…] ირიბად კი არ მეუბნებოდა, პირდაპირ ამბობდა და მწერდა. ჩემს მეუღლესაც კი სწერდა საშინელ შეტყობინებებს. ცხადი და ღია მტკიცებულებების მიუხედავად, ჩემი საქმე ორი წელია, თაროზე დევს."



დიაგრამა 3-ის *წყარო: ანონიმური ონლაინგამოკითხვის შედეგები ქართული მედიის მუშაკებს შორის 64 რესპონდენტთან, რომელიც ჩატარდა 2022 წლის ოქტომბერში. დამრგვალებიდან გამომდინარე, ჯამმა, შესაძლოა, ვერ შეადგინოს 100 პროცენტი.*

კვლევის დიაგრამები

ჟურნალისტთა უსაფრთხოება

გამოკითხვის რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (93%, 43-დან 40) განაცხადა, რომ თავს ნაკლებად დაცულად გრძნობს, ვიდრე სამი წლის წინ.

გამოკითხულთა თითქმის ნახევარზე (45.2%, 42-დან 19) ბოლო სამი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა ფიზიკური თავდასხმა სამუშაოს გამო. ტრადიციული მედიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი უფრო ხშირად განიცდიდნენ შეტევებს (58.8%, 17-დან 10), ვიდრე ონლაინმედიის წარმომადგენლები (33.3%, 24-დან 8).

მედიის პროფესიონალები ყველაზე მეტად ექვემდებარებოდნენ საფრთხეებს საგამოძიებო ჟურნალისტიკის განხორციელების დროს (43.2%, 44-დან 19), ქუჩაში გაშუქებისას (25%, 44-დან 11) ან ინტერნეტში გამოჩენისას (22.7%, 44-დან 10).

გამოკითხვის რესპონდენტთა სამი მეოთხედი (40-დან 30) მიიჩნევს, რომ ქალები და არაბინარული ჟურნალისტები განსაკუთრებით არიან მუქარის ან ფიზიკური თავდასხმის რისკის ქვეშ თავიანთი სამუშაოს გამო.

რესპონდენტთა ორ მესამედზე ოდნავ ნაკლები (62.5%, 40-დან 25) ფიქრობს, რომ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ჟურნალისტები განსაკუთრებით არიან მუქარის ან ფიზიკური თავდასხმის რისკის ქვეშ მათი სამუშაოს გამო. ამ შემთხვევაში უმცირესობის მედიაში მომუშავე რესპონდენტებმა უფრო კრიტიკულად უპასუხეს კითხვებს (83.3%, 12-დან 10), ვიდრე მათმა კოლეგებმა (57.7%, 26-დან 15).

გამოკითხული მედიამუშაკების 40%-ზე მეტი (41-დან 17) შეშფოთებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობით. კვლევის რესპონდენტები, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ, გაცილებით უფრო მეტად ღელავდნენ (85.7%, 7-დან 6), ვიდრე მათი ქალაქში მცხოვრები კოლეგები (31%, 29-დან 9). ეთნიკურ უმცირესობათა მედიასაშუალებებში მომუშავე ჟურნალისტები, ასევე გაცილებით ღელავდნენ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (75%, 12-დან 9), ვიდრე დანარჩენი გამოკითხული ჟურნალისტები (28%, 25-დან 7).



დიაგრამა 4-ის *წყარო: ანონიმური ონლაინგამოკითხვის შედეგები ქართული მედიის მუშაკებს შორის 64 რესპონდენტთან, რომელიც ჩატარდა 2022 წლის ოქტომბერში. დამრგვალებიდან გამომდინარე, ჯამმა, შესაძლოა, ვერ შეადგინოს 100 პროცენტი.*

საუბარი ფულზე: სუსტი სარეკლამო ბაზარი მედიას უფრო მგრძნობიარეს ხდის გარე გავლენის მიმართ

ქართული მედია რთულ ეკონომიკურ ვითარებაში მუშაობს, როგორც ამ კვლევისთვის ჩატარებული ინტერვიუები და ონლაინგამოკითხვის შედეგები ადასტურებს. გამოკითხულმა ჟურნალისტებმა თავიანთი მედიაგამოცემების ცუდი ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად სუსტი სარეკლამო ბაზარი დაასახელეს.

> **“ დღევანდელ დღეს საქართველოში არცერთი ტელევიზია არ არის ფინანსურად თვითკმარი, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სარეკლამო ბაზარი არ იძლევა იმდენის შესაძლებლობას, რომ ტელევიზიებმა თავი შევინახოთ.**
>
> **პოლიტიკური ტოქშოუს პროდიუსერი**

განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა იმ მედიისთვის, რომელიც არ არის აღქმული, როგორც პროსახელისუფლებო. არაერთი გამოკითხულის აზრით, არასაკმარისი შემოსავლები სარეკლამო რგოლებიდან ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმით, რომ კომპანიები რეპრესიების შიშით თავს არიდებდნენ რეკლამის განთავსებას ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ მედიაში. „ბიზნესი ერიდება კრიტიკულ მედიას ხელისუფლებისგან მოსალოდნელი ზეწოლის გამო.“ აღნიშნა ონლაინ მედიაგამოცემის რედაქტორმა.

ადგილობრივმა ჟურნალისტმა ხაზი გაუსვა ბიზნესზე რუსულ გავლენას, როგორც პოტენციურ დაბრკოლებას მეტი სარეკლამო შემოსავლის მისაღებად და, შესაბამისად, დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის განსახორციელებლად. „როდესაც შენს რეგიონში ბიზნესი არის რუსული, ყველაფერი დაკავშირებულია რუსეთთან, რუსულ ფულთან და რუსეთში მოღვაწე ადამიანებთან, ბუნებრივია, ეს ბიზნესი ვერ იქნება თავისუფალი მედიის დაფინანსების წყარო.“

მან ასევე აღნიშნა, რომ ადგილობრივ მედიას ზოგჯერ მჭიდრო ურთიერთობა აქვს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან. მათი ზოგიერთი ჟურნალისტი ერთდროულად დასაქმებულია საჯარო დაწესებულებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში.



დიაგრამა 5-ის *წყარო: ანონიმური ონლაინგამოკითხვის შედეგები ქართული მედიის მუშაკებს შორის 64 რესპონდენტთან, რომელიც ჩატარდა 2022 წლის ოქტომბერში. დამრგვალებიდან გამომდინარე, ჯამმა, შესაძლოა, ვერ შეადგინოს 100 პროცენტი.*

კვლევის დიაგრამები

ეკონომიკური ვითარება

ონლაინგამოკითხვის რესპონდენტთა თითქმის 90 %-მა (89.2 %, 37-დან 33) ქართული მედიის ეკონომიკური მდგომარეობა შეაფასა, როგორც „ცუდი“ ან „ძალიან ცუდი“. საკუთარ მედიაგამოცემებზე კომენტირებისას გამოკითხულთა სამ მეხუთედზე მეტმა (62.9 %, 35-დან 22) შეაფასა სიტუაცია, როგორც „ცუდი“ ან „ძალიან ცუდი“.

რესპონდენტთა მხოლოდ მეოთხედმა (39-დან 10) აღნიშნა, რომ მათი ყოველთვიური შემოსავალი ხშირად ან ყოველთვის საკმარისი იყო მათი საყოფაცხოვრებო ხარჯების დასაფარად.

პროპაგანდა და დეზინფორმაცია: რუსეთის ომის აჩრდილი უკრაინაში

ამ კვლევისთვის ჩატარებული ინტერვიუებისა და ონლაინგამოკითხვის შედეგები საქართველოს საინფორმაციო ეკოსისტემაში პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მაღალ ხარისხზე მიუთითებს. გეოპოლიტიკურად გამწვავებულ გარემოში 2022 წლის რუსეთის შეჭრამ ახლომდებარე უკრაინაში გამოიწვია იდეოლოგიური შეტაკებების ახალი ტალღები, აცხადებენ გამოკითხულები. „გაქანებული ბრძოლაა საქართველოში, პროპაგანდისტული ბრძოლა, უკრაინის ომის პარალელურად,“ - განაცხადა თბილისში მდებარე ტელეკომპანიის დირექტორმა.

დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კომენტირებისას ექსპერტებმა ახსენეს პრორუსული, ულტრამემარჯვენე ეროვნული მაუწყებელი „ალტ-ინფო“. გამოკითხულთა თქმით, პლატფორმა საქართველოში ავრცელებს კრემლთან დაკავშირებულ დეზინფორმაციას 2022 წლის თებერვალში უკრაინის წინააღმდეგ ომის დაწყებიდან.

„პრორუსული ჯგუფები, როგორებიცაა „ალტ-ინფო“ და „კონსერვატიული მოძრაობა“, განსაკუთრებით გააქტიურდნენ საქართველოში, როცა პირველ ეტაპზე რუსეთი შეიჭრა უკრაინაში“, - განაცხადა რეგიონალური მედიაორგანიზაციის დამფუძნებელმა და რედაქტორმა. - „ისინი თავიანთი ეთერით თავს ახვევდნენ საზოგადოებას რუსულ ნარატივს და განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ“.

ამ კვლევისთვის გამოკითხულმა ექსპერტებმა დაადანაშაულეს „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებული პირები, რომ ისინი დგანან 2021 წლის 5 ივლისს მედიამუშაკებზე თავდასხმის უკან. ამ კვლევისთვის გამოკითხულმა არაერთმა ჟურნალისტმა თქვა, რომ ბოლო წლებში მათ ავიწროებდნენ და ემუქრებოდნენ „ალტ-ინფო“ და მასთან დაკავშირებული წევრები და ჯგუფები.

გამოკითხულთა თქმით, დეზინფორმაცია ფართოდაა გავრცელებული და პროპაგანდა, ნაწილობრივ, საქართველოს საინფორმაციო ეკოსისტემაში უცხოეთის ჩარევის შედეგია. „დეზინფორმაციასთან გვიწევს ყოველ წამს მუშაობა. ჩვენ გვაქვს „ალტ-ინფო”, „ობიექტივი“, „სეზონი“ და სხვა უამრავი გაურკვეველი წარმოშობის მედიასაშუალება, რომლებშიც უწყვეტად ჩაედინება თანხა დეზინფორმაციისთვის, რითაც ისინი რეგიონულ გავლენას ინარჩუნებენ. ეს არის რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკის ნაწილი,“ აღნიშნა ტელეჟურნალისტმა სამხრეთ საქართველოდან.

ერთ-ერთმა ექსპერტმა თქვა, რომ მათ მედიაგამოცემას მოუწია რუსულენოვანი რედაქციის გაძლიერება პროპაგანდისტული მესიჯების გაზრდილი რაოდენობის გამო. „საჭირო გახდა, რომ მეტი რუსულენოვანი პერსონალი აგვეყვანა, რადგან დეზინფორმაციის ტალღა მართლაც ძლიერი იყო.“

ასევე, გამოკითხულები აკრიტიკებდნენ საქართველოს ხელისუფლების პოზიციას უკრაინის ომის მიმართ. „[უკრაინის] საბრძოლო სულისკვეთება სერიოზული დისკომფორტია ამ ხელისუფლებისთვის, რადგან ის ავლენს საკუთარ შიშს და დამოკიდებულებებს… რაც მთავარია, ამ ომმა აჩვენა, რომ ჩვენი მთავრობა პრორუსულია,“ გამოთქვა აზრი ტელეწამყვანმა თბილისიდან.

“ უკრაინაში პუტინის ომის შედეგად, ხელისუფლება საზოგადოებაში ამყარებს მოსაზრებას, რომ დასავლეთი ჩვენს ომში ჩართვას ცდილობს და ამ მოსაზრებას სახელისუფლებო არხების საშუალებით ამყარებს.

სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსი

ერთ-ერთმა გამოკითხულმა დაამატა: „პროსახელისუფლებო მედიით გახშირდა ანტიდასავლური ნარატივის გავრცელება.“

თბილისის ერთ-ერთი ტელევიზიის დირექტორმა გააკრიტიკა „მედიის, ევროპარლამენტარების, ამერიკის ელჩის, არასამთავრობო ორგანიზაციების დემონიზება.“

კვლევის დიაგრამები

პროპაგანდა და დეზინფორმაცია

გამოკითხვის რესპონდენტთა ოთხი მეხუთედი (80 %, 45-დან 36) დარწმუნებული იყო, რომ ქართული მედიის დეზინფორმაცია სერიოზული პრობლემაა და თითქმის 90 %-მა (46-დან 41) განაცხადა, რომ დეზინფორმაცია და პროპაგანდა გაიზარდა რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ.

გამოკითხვის რესპონდენტთა დაახლოებით სამმა მეოთხედმა (44-დან 34) განაცხადა, რომ ისინი ხშირად ან ძალიან ხშირად აწყდებიან პროპაგანდას თავიანთ პროფესიულ კონტექსტში.

შეკითხვაზე დეზინფორმაციისა და პროპაგანდის შესახებ ქართულ ენაზე გამოკითხვის რესპონდენტთა 90.9 %-მა (44-დან 40) განაცხადა, რომ ეს ხშირად ან ძალიან ხშირად ხდებოდა, ხოლო 97.4 %-მა (39-დან 38) აღნიშნა, რომ ხშირად ან ძალიან ხშირად ხვდებოდა დეზინფორმაციას რუსულ ენაზე.



დიაგრამა 6-ის *წყარო: ანონიმური ონლაინგამოკითხვის შედეგები ქართული მედიის მუშაკებს შორის 64 რესპონდენტთან, რომელიც ჩატარდა 2022 წლის ოქტომბერში. დამრგვალებიდან გამომდინარე, ჯამმა, შესაძლოა, ვერ შეადგინოს 100 პროცენტი.*

რა არის საჭირო: ფული, ცოდნა, ადვოკატირება

გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ ბევრი ქართული მედიასაშუალება უაღრესად რთულ ფინანსურ სიტუაციაში იმყოფება, ნაწილობრივ ქვეყნის შედარებით მცირე სარეკლამო ბაზრის შედეგად, რაც ხელს უწყობს მედიის ხელში ჩაგდებას, პარტიულობას და პოლარიზაციას.

ამ კონტექსტში, გამოკითხული ექსპერტების და გამოკითხვის რესპონდენტთა განცხადებები აჩვენებს ქართული მედიასექტორისთვის საერთაშორისო მხარდაჭერის მნიშვნელობას.

> **“ საერთაშორისო თანამეგობრობიდან და ფონდებიდან დონაცია საშუალებას მისცემს მედიას, განაგრძოს ოპერირება ბაზარზე.**
>
> **ეროვნული ტელეარხის საინფორმაციო სამსახურის უფროსი (თბილისი)**

ერთ-ერთმა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ „დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერა არსებითია. აუცილებელია, რომ დონორმა ორგანიზაციებმა, საერთაშორისო ფონდებმა, აკრედიტებულმა საელჩოებმა ყურადღება მიაქციონ და მხარი დაუჭირონ კვალიფიციური, სანდო და პროფესიულ სტანდარტზე დაფუძნებულ მედიაგამოცემებს.“

გამოკითხვის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ფინანსური დახმარების აუცილებლობას, განსაკუთრებით ადგილობრივი მედიამაუწყებლებისთვის: „თუ მედიაორგანიზაცია ფინანსურად სტაბილური არ არის, იგი ვერ შეძლებს გამოწვევებთან გამკლავებას,“ განაცხადა ონლაინ მედიაგამოცემის რედაქტორმა.

სხვა გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობის ამოცანა სცილდება ფინანსური მხარდაჭერის საკითხს. „ჩვენ, რეგიონის ჟურნალისტებმა, არ ვიცით, როგორ უნდა დავიცვათ საკუთარი თავი, არ დავდივართ საერთაშორისო კონფერენციებზე, სადაც გავიღრმავებთ ცოდნას. შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება როგორც ფინანსურად, ასევე ინფორმაციულად ძალიან მნიშვნელოვანია,“ აღნიშნა საზოგადოებრივი რადიოს ჟურნალისტმა სამხრეთ საქართველოდან.

როგორც გამოკითხულებმა, ასევე კვლევის რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ადვოკატირების ძალისხმევა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ჟურნალისტებზე თავდასხმებთან დაკავშირებით.

მედიაპროფესიონალებზე 2021 წლის თავდასხმებთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა გამოკითხულმა საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა, მოახდინონ „ზეწოლა ხელისუფლებაზე, რათა მან აიღოს პასუხისმგებლობა ჟურნალისტების უსაფრთხოებასა და პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლაზე, რომ იყოს სათანადო და ობიექტური გამოძიებები ჩატარებული და ყველა, ვინც ჟურნალისტებზე ფიზიკურად იძალადა, იყვნენ პასუხისგებაში მიცემული.“ კვლევის მონაწილემ, ეროვნული ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა (თბილისი), ხაზი გაუსვა საერთაშორისო მედიაადვოკატირების აუცილებლობას, „რადგან ვხედავთ ჟურნალისტების უფლებების დარღვევის ფაქტებს ქვეყანაში და მედიის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებს სასამართლოებში.“

კვლევის დიაგრამები

მედიაგამოცემებისა და ჟურნალისტების მხარდაჭერა

გამოკითხვის რესპონდენტები ხედავენ მედიის განვითარებაზე ორიენტირებული საზოგადოების მხრიდან გადაუდებელი მხარდაჭერის უდიდეს საჭიროებას რედაქციების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების (93.3 %, 15-დან 14), ციფრული უსაფრთხოების შესახებ ტრენინგების მიწოდების (66.7 %, 15-დან 10), უსაფრთხოების სტრატეგიების შემუშავების (53.3 %, 15-დან 8), მედიასაშუალებების დამოუკიდებლობის გაძლიერებისა და მათი თანამშრომლებისთვის სამუშაო უსაფრთხოების შექმნის მიზნით (46.7 %, 15-დან 7).

შეკითხვაზე, თუ რა ზომების მიღებაა საჭირო მედიის პროფესიონალების დასახმარებლად, რათა მათ დამოუკიდებლად და უსაფრთხოდ შეძლონ გაშუქება, სიძულვილის ენისა და ცილისწამების კამპანიებთან დაკავშირებით პირველ ადგილი დაიკავა ტრენინგმა სიძულვილის ენისა და ცილისწამებების კამპანიების გამკლავებასთან დაკავშირებით (87.5 %, 16-დან 14), შემდეგ ფსიქოლოგიური (75 %, 12 16-დან) და ფიზიკური უსაფრთხოების შესახებ ტრენინგებმა (75 %, 16-დან 12).



დიაგრამა 7-ის *წყარო: ანონიმური ონლაინგამოკითხვის შედეგები ქართული მედიის მუშაკებს შორის 64 რესპონდენტთან, რომელიც ჩატარდა 2022 წლის ოქტომბერში.*

კვლევის პროფილი

ამ კვლევაში გამოყენებული თვისობრივი მონაცემები შეგროვდა 2022 წლის ნოემბერსა და დეკემბერში 15 სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით მედიის პროფესიონალებთან. ინტერვიუ ჩაატარა ქართველმა მკვლევარმა ქართულ ან რუსულ ენაზე. გამოკითხული ჟურნალისტებიდან რვა ქალია, შვიდი კი მამაკაცი. ისინი მუშაობენ როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ (სუბეროვნულ) მედიასაშუალებებში, მათ შორის ტელევიზიაში, ონლაინგამოცემებში, რადიოსა და ბეჭდურ მედიაში, რომლებიც მდებარეობს თბილისსა და სხვა რეგიონებში. გამოკითხული მედიაპროფესიონალების პოზიციები მერყეობს საინფორმაციო სამსახურის უფროსიდან, წამყვანიდან, პროდიუსერიდან, რეჟისორიდან, რედაქტორიდან და მენეჯერიდან ჟურნალისტამდე. ისინი მუშაობენ კერძო და საჯარო მედიასაშუალებებში, ასევე მედიასაშუალებებში, რომლებიც მიჩნეულია „პროსამთავრობოდ“ ან „პროოპოზიციურად“.

ამ კვლევაში გამოყენებული რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა ანონიმურ ონლაინგამოკითხვაში 2022 წლის 4-დან 20 ოქტომბრამდე. ნახევრად სტანდარტიზებული კითხვარი მოიცავდა 61 კითხვას ქართულ ენაზე. იგი გაეგზავნა ცხრა მედიაასოციაციასა და ორგანიზაციას, რომლებიც წარმოადგენენ რამდენიმე ასეულ მედიაინსტიტუციას და ცალკეულ წევრს; ასევე, 59 მედიასაშუალებას, მათ შორის ტელევიზიას, რადიოს, ონლაინ- და ბეჭდურ მედიას. გამოკითხვაში სულ 64 მედიაპროფესიონალი მონაწილეობდა. არ იყო სავალდებულო კითხვები და 40-მა რესპონდენტმა უპასუხა ყველა კითხვას. შედეგები არაწარმომადგენლობითია.

მონაწილეთა ასაკი მერყეობდა 18-დან 64 წლამდე, 35-44 ყველაზე მეტად წარმოდგენილი ასაკობრივი ჯგუფია (35.9 %, 39-დან 14). გამოკითხულთა დაახლოებით ორი მესამედი (67.6 %, 37-დან 25) იყო ქალი. გამოკითხვაში ძირითადად წარმოდგენილები არიან ჟურნალისტები (51.6 %, 64-დან 33), შემდეგ - მედიამენეჯერები (32.4 %, 64-დან 15) და რედაქტორები (23.4 %, 64-დან 15). გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (45.9 %, 61-დან 28) მუშაობს შედარებით მცირე მედიასაშუალებებში, სადაც 10-ზე ნაკლები თანამშრომელია; მსხვილმა მედიასაშუალებებმა, 30 და მეტი თანამშრომლით, შეადგინა დაახლოებით მეოთხედი (24.6 %, 61-დან 15).

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი მუშაობს ონლაინ მედიასაშუალებებში (58.7 %, 63-დან 37), შემდეგ მოდის ნაციონალურ და რეგიონულ ტელევიზიებში მომუშავე ადამიანები (25.4 %, 63-დან 16). გამოკითხულთა დაახლოებით მერვედი მუშაობს რადიოსადგურებში (12.7 %, 63-დან 8) და თითქმის არავინ მუშაობს ყოველდღიურ გაზეთებში (3.2 %, 63-დან 2).

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა თავს მიიჩნევს ქართველად (94.7 %, 38-დან 36), ერთი რესპონდენტი - სომხად, ერთი კი - აზერბაიჯანელად. რესპონდენტთა ოთხ მეხუთედზე მეტი (84,6 %, 39-დან 33) სამსახურში იყენებს ქართულ ენას, სამი მონაწილე ლაპარაკობს რუსულად, ოთხი კი სამსახურში ლაპარაკობს დამატებით ენებზე, როგორიცაა ოსური და ინგლისური.

გამოკითხულთა ოთხი მეხუთედი (82.1 %, 39-დან 32) ცხოვრობს ქალაქად, თითქმის ნახევარი (46.2 %, 39-დან 18) - თბილისის საქალაქო (მეტროპოლიის) ზონაში, მეხუთედზე ნაკლები (17.9 %, 39-დან 7) კი ცხოვრობს სოფლად.

გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი (30 %, 40-დან 12) მუშაობს მედიასაშუალებაში, რომლის მთავარი სამიზნე აუდიტორია ეთნიკური უმცირესობებია. გამოკითხულთა ნახევარი მუშაობს რეკლამით დაფინანსებულ მედიასაშუალებებში (50 %, 14-დან 7); სხვები საერთაშორისო ორგანიზაციის დაფინანსებულია (42.9 %, 14-დან 6). სამი მონაწილე მუშაობს კერძო პირთა მიერ დაფინანსებულ მედიასაშუალებებში, ხოლო ერთი რესპონდენტი საჯაროდ დაფინანსებულ მედიასაშუალებაში.

წყაროები

Amnesty International. (2022). Georgia: Sentencing of pro-opposition media owner Nika Gvaramia a political motivated silencing of dissenting voices. www.amnesty.org/en/latest/news/2022/05/georgia-sentencing-of-pro-opposition-media-owner-nika-gvaramia-a-political-motivated-silencing-of-s-dissenting-voice

Article 19. (2021). The Global Expression Report 2021: Country rankings. *www.article19.org/wp-content/uploads/2021/07/GxR-2021-Country-Rankings-Final.pdf*

BTI. (2022). BTI 2022 Country Report: Georgia. *https://bti-project.org/fileadmin/api/content/en/downloads/reports/country_report_2022_GEO.pdf*

კავკასიის კვლევითი ცენტრი / Caucasus Research Center. (2022). Caucasus Barometer 2021 Georgia. *https://caucasusbarometer.org/en/cb2021ge/codebook*

Civil. (2021). 102 Detained as Far-Right Rallies Again. *https://civil.ge/archives/430994*

Civil. (2022). Parts of Autopsy Report of Deceased Cameraman Published. https://civil.ge/archives/465740

Commomspace.eu. (2016). "Georgia is the front-runner in Eastern Partnership" says EU official. www.commonspace.eu/news/georgia-front-runner-eastern-partnership-says-eu-official

ევროსაბჭო / Council of Europe — Parliamentary Assembly. (2015). The functioning of democratic institutions in Georgia. *https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=21275&lang=en*

CPJ. (2022, April 7). Georgia convicts 26 people over 2021 attack on journalists by anti-LGBT protesters. *https://cpj.org/2022/04/georgia-convicts-26-people-over-2021-attack-on-journalists-by-anti-lgbt-protesters*

CPJ. (2022, May 16). Nika Gvaramia. https://cpj.org/data/people/nika-gvaramia

CPJ. (2022, May 20). Georgian pro-opposition journalist Nika Gvaramia sentenced to 3.5 years in prison. *https://cpj.org/2022/05/georgian-pro-opposition-journalist-nika-gvaramia-sentenced-to-3-5-years-in-prison*

ევროპის კომისია / European Commission. (2022). Opinion on the EU membership application by Georgia. *https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf*

ევროპის პარლამენტი / European Parliament. (2022). European Parliament resolution of 9 June 2022 on violations of media freedom and the safety of journalists in Georgia. *www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2022-0239_EN.html*

Freedom House. (2022.1). Nations in Transit: Georgia. *https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2022*

Freedom House. (2022.2). Freedom of the Net 2022: Georgia. *https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-net/2022*

Freedom House. (2022.3). Freedom of the World 2022: Georgia. *https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2022*

Global Voices. (2022). In Georgia, six months after the tragic death of journalist, authorities blame drug overdose. *https://advox.globalvoices.org/2022/01/14/in-georgia-six-months-after-the-tragic-death-of-journalist-authorities-blame-drug-overdose*

International Telecommunication Union (ITU). (2021). Digital development dashboard. *www.itu.int/en/ITU-D/Statistics/Dashboards/Pages/Digital-Development.aspx*

Internews. (2021). Georgia: An Information Ecosystem Assessment. *https://internews.org/wp-content/uploads/2021/04/Georgia-Information_Ecosystem-Part_2.pdf*

IREX. (2022). Georgia: Vibrant Information Barometer. *www.irex.org/sites/default/files/VIBE_2022_Georgia %20(1).pdf*

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე / Legislative Herald of Georgia. (1995). Constitution of Georgia. *https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=35*

NDI. (ongoing). Georgia — Overview. *www.ndi.org/eurasia/georgia*

RSF. (2022). Freedom of the press index. *https://rsf.org/en/index*

RSF. (2022, May 24). Georgia: RSF seeks review of opposition TV chief's conviction, jail sentence. *https://rsf.org/en/georgia-rsf-seeks-review-opposition-tv-chief-s-conviction-jail-sentence*

მსოფლიო ბანკი / World Bank. (2012). Georgia's Fight Against Corruption in Public Services Wins Praise. http://web.worldbank.org/archive/website01363/WEB/0_-10535.HTM

dwakademie
@dw_akademie
dwakademie
dw-akademie.com
dw-akademie@dw.com

DW Akademie წარმოადგენს Deutsche Welle-ს მედიის საერთაშორისო განვითარების, ჟურნალისტიკის ტრენინგებისა და ცოდნის გადაცემის ცენტრს. ჩვენი პროექტები აძლიერებენ გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციაზე შეუფერხებელი წვდომის უფლებას. DW Akademie მთელს მსოფლიოში მცხოვრებ ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას, სანდო ფაქტებსა და კონსტრუქტიულ დიალოგზე დაყრდნობით დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები.

DW Akademie გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს სტრატეგიული პარტნიორია. ჩვენ, ასევე, დაფინანსებას ვიღებთ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევროკავშირისაგან. DW Akademie აქტიურია 70-მდე განვითარებად ქვეყანაში.

DW Akademie

Made for minds.